

შპს “სმარტ ენერჯი” და შვილობილები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით	10
4. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11
5. სხვა საოპერაციო ხარჯები	11
6. ფინანსური ხარჯები - წმინდა	11
7. გაცემული სესხები	12
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12
9. ფული და ფულის ექვივალენტები	12
10. ნასესხები სახსრები	12
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
13. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	14
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
განგრძობადი ოპერაციები			
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული		8,964,474	6,495,347
ხელშეკრულებებიდან	4		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,753,199)	(1,976,957)
ცვეთა და ამორტიზაცია		(803,467)	(939,848)
სხვა საოპერაციო ხარჯები	5	(3,600,136)	(2,218,512)
ფინანსური შემოსავალი	6	253,048	26,654
ფინანსური დანახარჯები	6	(203,794)	-
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოურ ვალუტაში		(55,305)	169,662
განხორციელებული ოპერაციებიდან			
გაუფასურების ხარჯი გაცემულ სესხებზე, წმინდა		(24,537)	-
სხვა შემოსავალი		138,070	73,769
სხვა ხარჯი		(476,197)	-
მოგება დაბეგრამდე		1,438,957	1,630,115
მოგებიდან გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		1,438,957	1,630,115
სხვა წლიური სრული შემოსავალი		-	445,885
წლის სრული მოგება		1,438,957	2,076,000

ხელმძღვანელობის სახელით:

რატი ღვამზერია
დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

9-15 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “სმარტ ენერჯი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,963,394	4,405,549
არმატერიალური აქტივები		1,277	1,635
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		232	560,947
გაცემული სესხები	11	7,288,943	2,443,894
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,253,846	7,412,025
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		39,970	53,077
გაცემული სესხები	11	-	141,462
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	1,452,275	873,407
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,318,934	992,992
სულ მიმდინარე აქტივები		2,811,179	2,060,938
სულ აქტივები		12,065,025	9,472,963
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,516,594	1,033,199
გაუნაწილებელი მოგება		4,277,975	4,050,998
სულ კაპიტალი		5,794,569	5,084,197
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	4,594,663	1,424,555
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,594,663	1,424,555
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	1,067,352	3,267
საგადასახადო ვალდებულებები		132,694	42,386
მიღებული ავანსები		-	1,169,972
გადასახდელი დივიდენდები		58,125	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	417,622	1,748,586
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,675,793	2,964,211
სულ ვალდებულებები		6,270,456	4,388,766
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,065,025	9,472,963

ხელმძღვანელობის სახელით:

რათი ღვამბერია
დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

6-15 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2020	799,221	2,703,669	3,502,890
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,076,000	2,076,000
კაპიტალის ზრდა	233,978		233,978
გაცემული დივიდენდები	-	(728,733)	(728,733)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	1,033,199	4,050,936	5,084,135
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,438,957	1,438,957
შვილობილის გაყიდვა	-	(1,064,403)	(1,064,403)
გაცემული დივიდენდები	-	(374,492)	(374,492)
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	710,372	710,372
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,033,199	4,761,370	5,794,569

ხელმძღვანელობის სახელით:

რატი ღვამბერია
დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

6-15 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
წმინდა ფულადი სახსრების შემოძენა საოპერაციო საქმიანობიდან		2,600,388	2,021,330
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(6,974,666)	(1,770,497)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული /(გამოყენებული) წმინდა ფული		4,772,179	(726,950)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(71,959)	221,017
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		397,901	(475,925)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	9	992,992	1,247,900
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	1,318,934	992,992

ხელმძღვანელობის სახელით:

რატი ღვამბერია
დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

6-15 გვერდებზე მოცემული თანხმობები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმარტ ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2017 წელს, (სარეგისტრაციო ნომერი: 404538924) საქართველოში, ქალაქ თბილისში. რეგისტრირებული მისამართი არის გერგეთის ქ. #3. კ

კომპანიის დაარსების შემდეგ, 2017 წლის ივლისში და სექტემბერში გახდა 100% მფლობელი შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტი“-ისა და შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტი“-ის, შესაბამისად.

2021 წლის 9 ნოემბრის კომპანიის გადაწყვეტილებით მოხდა კომპანიის რეორგანიზაცია და ახალი კომპანია შპს „სმარტ ტრანსი“ გამოეყო შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტს“.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გაასხვისა შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტი“-ის 100%-იანი, ხოლო შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტის“ 50%-იანი წილი. წინამდებარე კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კომპანიამ დაიკონსოლიდირა შპს „კაზ ფროფერტ მენეჯმენტი“ („ჯგუფი“).

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო აქციონერები იყვნენ: ივანე ჩხარტიშვილი - 51%, მიხეილ ჩხარტიშვილი - 24.5% და ნათია ჩხარტიშვილი - 24.5%.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებას გაზომვისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ანდა განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქტივებზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 2 სტანდარტით რეგულირდება, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 16 სტანდარტით რეგულირდება და იმ შეფასებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ ასეთი არ არის, როგორცაა ბასს 2 სტანდარტით გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36 სტანდარტით გათვალისწინებული გამოყენებული ღირებულება.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულებების საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხილულია სამართლიანი ღირებულებების გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრისას:

1-ელი დონის მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომლებზეც პირს ხელი მიუწვდება გაზომვის დღეს;

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ┆ მე-2 დონის მონაცემები არის პირველ დონეში შესულისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხილულია აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შემთხვევაში; და
- ┆ მე-3 დონის მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების ისეთი მონაცემები, ხილული არ არის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ ჯგუფი ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე, გააანალიზა ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები შეფასებულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ეს პირი ახორციელებს თავის საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ქართულ ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთიანთვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. ჯგუფი შემოსავალს იღებს სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან და იჯარიდან. ჯგუფი აღიარებს შესრულების ვალდებულებას დროის განმავლობაში. ამონაგები აღიარდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. ამონაგები იზომება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული თანხის მიხედვით.

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკუროს სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- / განაწილებული მოგება;
- / გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- / საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- / წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბაზს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. შეფასებული სარგებლიანობის ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატვირთო მანქანები	5-8 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია. რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა). თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოღინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით.

ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება.

ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი - ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და გაცემული სესხები, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენილი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია მსხ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფი იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას მნიშვნელოვანი კლიენტების მიმართ, ხოლო სხვების მიმართ შემუშავებული აქვს დარეზერვების მატრიცა. ორივე მიდგომა დაფუძნებულია ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე, რომელიც კორექტირდება დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საპროგნოზო ფაქტორებით.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში. გარიგებები აქციონერებთან აღირიცხება კაპიტალში.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული ალუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, დირექტორებს ევალებათ შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ იყო გამოყენებული დაშვებები ან განსჯები, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მოხსენებულ თანხებზე.

4. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის მთლიან ამონაგებს შეადგენდა:

	2021	2020
ამონაგები საწვავის ტრანსპორტირების სერვისიდან	8,842,328	6,449,496
საიჯარო შემოსავალი	122,146	45,851
სულ	8,964,474	6,495,347

მთლიანი შემოსავლის 98% ჯგუფმა მიიღო ერთი მომხმარებლისგან - საქართველოში წამყვანი ნავთობის საცალოდ მოვაჭრისათვის საწვავის ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის გზით.

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

	2021	2020
იჯარის ხარჯი	1,553,668	77,072
საწვავის ხარჯი	1,490,523	1,006,962
სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და მოვლა	338,599	333,424
დაზღვევა	89,175	89,006
სხვა	128,171	712,048
სულ	3,600,136	2,218,512

6. ფინანსური ხარჯები - წმინდა

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	191,175	122,502
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	12,619	-
ფინანსური ხარჯები	203,794	122,502
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	(235,748)	(95,358)
საპროცენტო შემოსავალი ფული და ფულის ექვივალენტებიდან	(17,300)	(14,276)
საპროცენტო შემოსავალი საიჯარო მოთხოვნებიდან	-	(39,523)
ფინანსური შემოსავალი	(253,048)	(149,157)
წმინდა ფინანსური ხარჯები/(შემოსავალი)	(49,254)	(26,655)

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

7. გაცემული სესხები

სესხები გაიცა დაკავშირებულ მხარეებზე და არცერთი მათგანი არ არის 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეადგენს 1,452,275 ლარსა და 873,407 ლარს.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ არის ვადაგადაცილებული და გაუფასურებული.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის თანხების ამოღების საშუალო პერიოდი შეადგენდა 21 და 22 დღეს, შესაბამისად.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
	საპროცენტო განაკვეთი		
მიმდინარე ანგარიშები ბანკში		340,989	483,633
მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკში	0,5%-4%	977,945	509,359
სულ ფული და ფულის ექვივალენტები		1,318,934	992,992

ბანკში განთავსებული არც ერთი ნაშთი ვადაგადაცილებული არ არის. მათზე ზარალის რეზერვის აღიარება არ მომხდარა მათი მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე. საბანკო ნაშთებში შედის საქართველოში, ბანკებში მოქმედი მიმდინარე ანგარიშები და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის უმეტესობა განთავსებულია „ფიტჩ რეიტინგის“ მიერ მოკლევადიანი B და გრძელვადიანი BB- რეიტინგის მქონე ბანკებში.

10. ნასესხები სახსრები

ჯგუფს აქვს უცხოურ ვალუტაში ნასესხები სახსრები ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომელიც ჯგუფს აკისრებს ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფს არ დაურღვევია აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები (ფინანსური ვალდებულებები)	417,622	1,748,586
სულ	417,622	1,748,586

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საშუალო საკრედიტო პერიოდი შეადგენს 27 და 23 დღეს, შესაბამისად.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მფლობელები, შვილობილი და კომპანიასთან საერთო საკუთრებაში და კონტროლის ქვეშ მყოფი პირები და ძირითადი მენეჯმენტის წევრები. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ გარიგებები, რომლებიც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს, ხოლო დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის ყოველი შესაძლო შემთხვევის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	საბოლოო აქციონერი	საბოლოო მშობელი კომპანია	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9,518	-	-	-	9,518
გაცემული სესხი	-	5,100,722	-	72,714	5,173,436
ამონაგები მომხმარებლებთან	68,477	-	85,425	-	153,902
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	-	249,434	-	3,556	252,990
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	საბოლოო აქციონერი	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	22,642	9,035	31,677
გაცემული სესხი	-	1,224,231	1,224,231
ამონაგები მომხმარებლებთან	45,173	21,628	66,801
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	-	-	-

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2021 და 2020 წლებში შეადგინა 1,746,442 ლარი და 1,371,258 ლარი, შესაბამისად.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

13. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები – 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა რაიმე მატერიალური ვალდებულება.

სამართლებრივი დავები - 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საქმეში.

გადასახადები Z საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციითა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 2019-2021 წლები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რასაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად კომპანიაზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიას ეფექტი არ ჰქონია კომპანიის ოპერაციებზე, ჯგუფის კლიენტები მინიმალურად შეზღუდულ მთავრობამ. კომპანიის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

შპს „სმარტ ენერჯი“ და შვილობილები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის მენეჯმენტი აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში განვითარებულ მოვლენებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის უახლოეს მომავალში. თუმცა, ამ მოვლენების შედეგებმა და მასთან დაკავშირებულმა სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებზე.